დანართი N3

ანაზღაურების ხელშეკრულება № ----

ქ. თბილისი **თარიღი:**

ერთი მხრივ, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო“) წარმოდგენილი თავმჯდომარის ლევან მეხუზლას სახით და მეორე მხრივ, ---------- (შემდგომში – „ბენეფიციარი“) წარმოდგენილი ---------- ---------- სახით, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №132 დადგენილების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ანაზღაურების ხელშეკრულება” - სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის დადებული ეს ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციით;

1.2 „პროგრამა “ - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №132 დადგენილებით დამტკიცებული „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „ბენეფიციარი“ - პირი, რომელთანაც პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ანაზღაურების ხელშეკრულება;

1.5 „ანაზღაურება – პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარზე გასაცემი ფულადი სახსრები;

1.6 „ღონისძიება“ - პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

1.7 „შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია“ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული პირის მიერ გაცემული ანგარიში.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამის - ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში), ---------- ---------- ამ ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით განსაზღვრული აქტივობების ჩატარება ბენეფიციარის მიერ. დანართი №1 თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ღონისძიების ჩატარების ვადები და ადგილი

ღონისძიების ჩატარების ვადა და ადგილი: ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს: ---------- ----------

4.2. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შესაძლებელია გაიზარდოს არაუმეტეს 10 % -ის ოდენობით, ---- ლარის ფარგლებში.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ბენეფიციარის მიერ ჩასატარებელი ღონისძიებისათვის გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობით) გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. ბენეფიციარი ვალდებულია:

5.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებისა და დანართი №1-ით განსაზღვრული აქტივობების ორგანიზება;

5.1.2 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების ჩატარება სრულად და ჯეროვნად;

5.1.3 უზრუნველყოს ყველა სარეკლამო და საინფორმაციო მატარებელზე, მათ შორის სოციალურ მედიაში, ასევე ღონისძიების ჩატარების სივრცეში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ლოგოს გამოსახვა, ხოლო სატელევიზიო გადაცემებსა თუ სარეკლამო კლიპებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს სპონსორად მოხსენიება.

სპონსორების ჩამონათვალში პირველი უნდა იქნეს მოხსენიებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო ბეჭდურ და ციფრულ ყველა მატარებელზე - სამინისტროს ლოგო უნდა განთავსდეს უკიდურესად მარცხენა და პირველ ხაზზე.

5.1.3 ღონისძიების დასრულებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში უზრუნველყოს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის (ფოტო მასალით) და შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სააგენტოსათვის წარდგენა;

5.1.4 შეათანხმოს სააგენტოსთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების დეტალები ღონისძიების განხორციელების ყველა ეტაპზე;

5.1.5 სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ინფორმაცია ღონისძიების განხორციელების შესახებ;

5.1.6 დროულად განიხილოს სააგენტოს პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.1.7 სააგენტოსთან შეთანხმების და წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილების გარეშე არ განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების შინაარსის და/ან დასახელების ცვლილება.

5.1.8 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.1.9 წარმოადგინოს სააგენტოში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი/გადახდის ქვითარი, მის საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვიდან **10 კალენდარული დღის ვადაში**.

5.2. **სააგენტო ვალდებულია** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიების სრულად და ჯეროვნად ჩატარების მიზნით, ითანამშრომლოს ბენეფიციართან და მიაწოდოს მას საჭირო ინფორმაცია;

5.3 სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი, რაც მოიცავს დოკუმენტაციის გადამოწმებას ან/და ადგილზე ვიზიტს და შესრულებული სამუშაოს ვიზუალურ დათვალიერებას. დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში, ბენეფიციარის მიერ, ანაზღაურების ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო იტოვებს უფლებას, შემდგომში გამოცხადებული პროგრამის ფარგლებში, არ განიხილოს აღნიშნული ბენეფიციარის განაცხადი.

5.4. სააგენტოს უფლება აქვს მოითხოვოს ბენეფიციარისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

5.5. სააგენტო უფლებამოსილია ბენეფიციარს არ დაუფინანსოს ღონისძიება, თუ ღონისძიების შინაარსი და/ან დასახელება არ შეესაბამება პროგრამის და/ან პროგრამის განმახორციელებელი უწყების მიზნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

სააგენტო უფლებამოსილია ღონისძიების ჩატარების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ბენეფიციარს აუნაზღაურდება პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების ღირებულების ფაქტობრივად დადასტურებული ხარჯების არაუმეტეს -- % ისა, ------ ლარის ფარგლებში და რომელიც არ აღემატება ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით დადგენილ პირობებს.

7.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.4 ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 17 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოება, რაც აფერხებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შემაფერხებელი ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ (უმოკლეს) ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 თუ ბენეფიციარი დაარღვევს ხელშეკრულების 5.1 პუნქტით და დანართი N1-ით განსაზღვრულ ვალდებულებებს, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და ბენეფიციარს არ აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებისათვის გაწეული ხარჯი.

9.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.2.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;

9.2.2 ვადამდე, ნებისმიერი მიზეზით, მხარეების მიერ შეთანხმების შემთხვევაში;

9.2.3 ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

9.2.4 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3 სააგენტოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სააგენტოს არ წარმოეშვება რაიმე ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები დროებით თავისუფლდებიან ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორული გარემოებები წარმოადგენს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება მხარეთა გონივრულ კონტროლს და რომლის დადგომაც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას. ამგვარი გარემოებები და მოვლენები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, სტიქიური უბედურებებით, საყოველთაო გაფიცვებით, საბოტაჟით ან სხვა სახის სამოქალაქო მღელვარებით ან არეულობით, ომით (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია იგი თუ არა), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული ქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებებით, მიწისძვრით, წყალდიდობით, მეწყრით, ზვავით ან სხვა მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება მხარის გონივრულ კონტროლს და რომლის თავიდან აცილებაც მხარეს, ყველა გონივრული და შესაძლო ზომების მიღების მიუხედავად, არ შეუძლია. ამასთან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

11.3 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის და შეწყვეტის თაობაზე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 10 (ათი) დღისა. თუ მხარე არღვევს ამ ვადას, იგი ვალდებულია წარმოადგინოს დასაბუთებული ინფორმაცია ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებების და/ან მოვლენების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების გადავადების სავარაუდო თარიღი.

11.4 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ ვალდებულებების შესრულების ვადები პროპორციულად გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოებების და/ან მოვლენების ხანგრძლივობის ვადით, ან სხვა ვადით რაზეც მხარეები დამატებით შეთანხმდებიან.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

12.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

12.3 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, განიმარტება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.4 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

12.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები:

<u>სააგენტო</u>	<u>ბენეფიციარი</u>
სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	----------
თავმჯდომარე ლევან მეხუზლა	დირექტორი ---------- ----------
ს/კ 204446965 **იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №32 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი **ბ.კ. TRESGE22; ა/ა 200122900** **ტელ**: 297 41 03	**ს/კ** ---------- **მის:** **საბანკო რეკვიზიტები**: **ბ/კ** **ა/ა** **ტელ.:** **ელ.ფოსტა:**
ლევან მეხუზლა	**(სახელი და გვარი)**